შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა"
შპს „ჯორჯიან მიკროსისტემი"

# ხელშეკრულება №4

კომპიუტერული პროგრამით უზრუნველყოფის შესახებ

ქ. თბილისი
30/12/2010 წელი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა" (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის ბიძინა ბრეგაძის სახით

და

მეორე მხრივ, შპს „კორუპან მიკროსისტემა" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზისათვის" მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს მის მიერ შემსყიდველის სერვერზე ინსტალირებული (10 მომხმარებლისთვის) სისტემა „კოდექსი 2005/2007"-ის ქსელური ვერსიის ყოველკვირეულ ინფორმაციულ განახლებას, ინტერნეტის საშუალებით (შემდგომში - მომსახურება), ხოლო შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

## მუხლი 2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს 720 (შვიდასოცი) ლარს.

2.2 ყოველთვიური მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს 60 (სამოცი) ლარს.

2.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 2.1 და 2.2 პუნქტებში აღნიშნული ღირებულების გაზრდა დაუშვებელია.

2.4 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდაზე.

2.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით, ყოველი საანგარიშსწორებო თვის ბოლოს, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

2.6 ანგარიშსწორება განხორციელებულად ჩაითვლება მომსახურების შესაბამისი ღირებულების მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხვის დღიდან.

**მუხლი 3. მომსახურების მიწოდების ვადები**

3.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 24-საათიან რეჟიმში.

**მუხლი 5. მომსახურეობის მიწოდების ადგილი**

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს შემსყიდველის ფაქტური ადგილსამყოფელის მიხედვით, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150, V და VI სართული.

**მუხლი 5. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

5.1.2 ნებისმიერ დროს შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობა;

5.1.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს წერილობითი განმარტებები და დასაბუთებები მომსახურებასთან  დაკავშირებით, აგრეთვე მოსთხოვოს მას მომსახურების ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრა;

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

5.2.2 შეატყობინოს მიმწოდებელს სისტემის ფუნქციონირებაში გამოვლენილი ხარვეზ(ებ)ის შესახებ და, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყოს მიმწოდებლის თანამშრომლებს მათ აღმოფხვრაში.

**მუხლი 6. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

6.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.2.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეუფერხებელი და ხარისხიანი მიწოდება;

6.2.2 დროულად აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული ხარვეზ(ებ)ი;

6.2.3 ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა ვალდებულება და პირობა.

**მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

**მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

8.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე. თუ მიმწოდებლის მიზეზით მომსახურების მოწოდება შეჩერდება ან შეწყდება, ან მისი ბრალით შეყოვნდება მომსახურების ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრა, მაშინ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ვალდებულების შესრულების ყოველი დაგვიანებული დღისათვის. ამასთან, მომსახურების მიწოდების შეჩერების ან შეწყვეტის დროის პროპორციულად შემცირდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ყოველთვიური ანაზღაურების ოდენობაც.

8.2 ამ მუხლის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

8.3 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გაწეული მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-სა.

**მუხლი 9. ფორს-მაჟორი**

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებითა და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ფორს-მაჟორის არსებობის თაობაზე სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დამადასტურებელი ცნობის (წერილის) თანდართვით, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული გზები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

**მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ამ მუხლის 10.2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნისას, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს

რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11.2 თუ შესაბამისი მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით სახელშეკრულებო ვალდებულებები ვერ იქნება შესრულებული 11.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. დავების გადაწყვეტის წესი**

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია, დავის გადაწყვეტის მიზნით, დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**მუხლი 13. უფლებების გადაცემა**

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე

მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

**მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა**

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

**მუხლი 16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის**

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტროფოსტის, დეპეშის, ტელექსის, ან ფაქსის საშუალებით, იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში

წარედგინება მეორე მხარეს ან ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიმე უფრო გვიან დგება.

**მუხლი 17. დასკვნითი დებულებები.**

17.1 ხელშეკრულება შეიცავს 18 მუხლს, შედგენილია 8 ფურცელზე და 2 თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი შემსყიდველთან.

**მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები**

18.1 შემსყიდველის რეკვიზიტები: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №150; საიდენტიფიკაციო კოდი 204522436, ს.ს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო". ა/ა GE31 AZ00 3450 0000 0051 01, ბანკის კოდი 220101912; ტელ: (+99532) 56-31-75, 56-40-22. ფაქსი: (+99532) 56-49-75.

18.2 მიმწოდებლის რეკვიზიტები: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2; საიდენტიფიკაციო კოდი: 202268517, ს.ს. „პროკრედიტ ბანკი", ცენტრალური ფილიალი, ა/ა №360201012900209, ბანკის კოდი 220101922.

**მხარეთა ხელმოწერები:**

**შემსყიდველი:**

ბიძინა ბრეგაძე
დირექტორი

**მიმწოდებელი:**

არჩილ მაისურაძე
დირექტორი